1997	გეოტექნიკური კვლევები (ბურღვა, რეკონსტრუქცია, შურფების ექსკავაცია) მდინარე / არხის გადაკვეთა, <b>McConnell Dowell</b> , ინჟინერ-მკვლევარი, ტექნიკური დირექტორი												
1997	<b>WREP</b> მილსადენის მდინარის გადაკვეთაზე ტოპოგრაფიკული ნახაზების მომზადება, ტოპოგრაფიკული კვლევა, ცრონელლ ოწეულ, ინჟინერ-მკვლევარი, ტექნიკური დირექტორი												
1973-1996	სატრანსპორტო ნაგებობების კავკასიის კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი, გეოტექნიკური ექსპედიციის ხელმძღვანელი												
1983-1986	ჩაქვი-მახინჯაურის საავტომობილო გვირაბის გეოტექნიკური კვლევა, საქართველო გეოტექნიკური კვლევების მენეჯერი												
1976-1986	კავკასიის მთების გავლით რკინიგზის მშენებლობის პროექტი, 23კმ საავტომობილო გვირაბის ტრასის კვლევა (თბილისი-ვლადიკავკაზი), საქართველო-რუსეთი გეოტექნიკური კვლევების მენეჯერი												
1974-1976	კავკასიის მთების გავლით რკინიგზის მშენებლობის პროექტი, საავტომობილო გვირაბის ტრასის კვლევა ჯვრის უღელტეხილის გავლით, საქართველო-რუსეთი გეოტექნიკური კვლევების მენეჯერი												
ენების ცოდნა:	<b>მშობლიური ენა ქართული</b>												
	<table border="1"> <tr> <td></td> <td>ლაპარაკი</td> <td>კითხვა</td> <td>წერა</td> </tr> <tr> <td><b>რუსული</b></td> <td>კარგად</td> <td>კარგად</td> <td>კარგად</td> </tr> <tr> <td><b>ინგლისური</b></td> <td>ცუდად</td> <td>ცუდად</td> <td>ცუდად</td> </tr> </table>		ლაპარაკი	კითხვა	წერა	<b>რუსული</b>	კარგად	კარგად	კარგად	<b>ინგლისური</b>	ცუდად	ცუდად	ცუდად
	ლაპარაკი	კითხვა	წერა										
<b>რუსული</b>	კარგად	კარგად	კარგად										
<b>ინგლისური</b>	ცუდად	ცუდად	ცუდად										
კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:	ოფისის პროგრამები, ინტერნეტი												
საკონტაქტო ინფორმაცია:	საქართველო, თბილისი 0177, თამარაშვილის ქ. № 15ა, ტელ:(+99532) 311784/85/86; ფაქსი:(+99532) 311787, <a href="mailto:contact@geoengineering.ge">contact@geoengineering.ge</a> ტელ:(+995) 599169478												



## გურამ სუთიძე

### 1. პირადი მონაცემები

სახელი	გურამ (გუგა) სუთიძე
მისამართი	თბილისი, ვაშლოვანის ქ., N 6
ტელეფონი	მობ: 5 99 48 91 84
პრეტენდენტის ფაქტიური მისამართი:	gugasutidze@gmail.com
დაბადების თარიღი, ადგილი	05. 11. 81, თბილისი

### 2. განათლება

უმაღლესი განათლება	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, არქიტექტურის ფაკულტეტი, რესტავრაციის განყოფილება; 1999-2005
კვალიფიკაცია	არქიტექტორ-რესტავრატორი  სერტიფიკატი ქვის რესტავრაციისა და კონსერვაციის დარგში, კულტურის სამინისტრო, 2006

### 3. სამუშაო გამოცდილება

2010 - 2013	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის დაკვეთით, ძველი თბილისი რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში. თბილისში - შენობა-ნაგებობების აზომვითი და საპროექტო სამუშაოები. ლიტერატურის მუზეუმის, ბოტანიკურის ქ. №30; თბილისის მეჩეთი ბოტანიკურის ქ. №32, გომის ქ. №7, №9; გომის ჩიხი №2, №4, №12-ში აღმაშენებელია გამზ. № 93, №98, №108, №118, №77, №82 №172, №174; ჯორბენაძის ქ. №18, №20, №9ა; თელავი – „ბატონის წყარო“, ერეკლე II-ს მოედანი №11; გ. სააკაძის ქ. №5.
2009	მუცო, აზომვითი სამუშაოები და საპროექტო სამუშაოები ხელმძღვანელი ი. ბანძელაძე, კომპანია "არსი",

2008	ბაგრატის საკათედრო ტაძრი, აზომვითი სამუშაოები
2007 – 2008	ICOMOS საქართველო. აბასთუმანი - მეფის ნაცვლის შენობების და აბანოს აზომვითი სამუშაოები. ქ. თბილისი - ეთნოგრაფიული <u>მუზეუმი</u> . ახალციხის, კახეთის და სამცხე-ჯავახეთის შენობა ნეგებობების აზომვითი სამუშაოები  ქ. თბილისი - ასათიანის და ტაბიძის ქუჩაზე მდებარე სახლების ფასადების აზომვითი და აღდგენა-რესტავრაციის საპროექტო სამუშაოები
2007	მცხეთის ჯვარი, აზომვითი სამუშაოები
2007	თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი, აზომვითი სამუშაოები, შენობების რეკონსტრუქციის პროექტები
2007	თბილისის ისტორიული ძეგლები, აზომვითი სამუშაოები, რესტავრაციის პროექტები
2006	ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი
2005	ბეთანიის მცირე ეკლესია, აზომვითი სამუშაოები, რესტავრაცია-რეკონსტრუქციის პროექტი
2004	ლურჯი მონასტერი, რეკონსტრუქციის პროექტი.
2004	მუცო, აზომვითი სამუშაოები, კამერალური დამუშავება, ხელმძღვანელი ი. ბანძელაძე, კომპანია "არსი", პროექტი "ქართული სახლი"

**ზოგადი უნარები**

კომპიუტერი:	AutoCAD, MS Office
ენები:	ქართული, რუსული, ინგლისური



2008 - 2010

შ.პ.ს. „რესტავრატორები და კონპანია“. ბაგრატის საკათედრო ტაძრის არქიტექტურულ - არქეოლოგიური ანაზომი, ესკიზური და რესტავრაცია - რეკონსტრუქციის პროექტი, მუშა ნახაზები. ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი I კორპუსის ფასადების აზომებითი და საპროექტო სამუშაოები. თბილისში ინგოროყვას №14, ქურდიანის №17 და ჯავახიშვილის №6-ში მდებარე სახლების ფასადების აზომებითი სამუშაოები.

2007 - 2010

საქართველოს ეროვნული არქივი. დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიის მთავარი სპეციალისტი

2008

შ.პ.ს. „ძველი გალაგანი“. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი. სოფ. არგვეთა - „დედაღვთისა“ აზომებითი და საპროექტო სამუშაოები. გურჯაანის მუნიციპალიტეტი. „გაჩნაძიანის ყველაწმინდა“-ს რესტავრაციის, კონსერვაციის და ადაპტაციის პროექტები.

2007 - 2008

ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოს (ICOMOS) საქართველო. აბასთუმანი - მეფის ნაცვლის შენობების და აბანოს აზომებითი სამუშაოები. ქ. თბილისი - ეთნოგრაფიული მუზეუმი. ახალციხის, კახეთის და სამცხე-ჯავახეთის შენობა ნეგებობების აზომებითი სამუშაოები ქ. თბილისი - ასათიანის და ტაბიძის ქუჩაზე მდებარე სახლების ფასადების აზომებითი და აღდგენა-რესტავრაციის საპროექტო სამუშაოები

2007

ჯვრის მონასტერი არქიტექტურულ-არქეოლოგიური აზომებითი სამუშაოები.

2006

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის და getty ფონდი მარტვილის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარი. XIV-XVII ს.-ის კედლის მხატვრობის კონსერვაცია.

2005

G.B.H. "Thomas Wieck" გერმანია, ქ. ერბახი. "St. Martinus Kirche" XVI-XVII ს.-ი კედლის მხატვრობის კონსერვაცია / რესტავრაცია

2003 - 2004

ფონდი "ქართუ". ქ. თბილისი, რუსთაველის სახელობის თეატრი. „ქიმერიონის“ ფერწერის კონსერვაცია / რესტავრაცია.

კომპიუტერი: AutoCAD, ArchiCAD, Photoshop, MS Office, CYCLON, Claudwork

ენები ქართული, რუსული, გერმანული





## ერეკლე ნაროუშვილი

ფანასკერტელის 14 კ. ბინა 66  
თბილისი, საქართველო  
ტელ: 599 / 617 518

e-mail: [naroushvili@gmail.com](mailto:naroushvili@gmail.com)  
<http://www.archilovers.com/erekle-naroushvili>

დაბადების თარიღი 1981წ. 6 ნოემბერი

### ბანათლება

2002 - 2007

ქ. თბილისის სამხატვრო აკადემია. რესტავრაციის, ხელ. ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი; ფერწერის რესტავრაციის განყოფილება, მაგისტრი.

2004 - 2005

გერმანია, ქ. შტუტგარტის სამხატვრო აკადემია. რესტავრაციისა და კონსერვაციის ფაკულტეტი 2 სრული სემესტრი

2001 - 2002

გერმანია, ქალაქი ჰალბერშტატი. პრაქტიკული და თეორიული სწავლება - ისტორიული სახლების ფასაღების რესტავრაცია, ტრადიციული მეთოდებით

1999 - 2001

ქ. თბილისის სახელმწიფო კულტურის ინსტიტუტი. ხატწერის ფაკულტეტი

### პროფესიული გამოცდილება

2010 - 2013

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის დაკვეთით, ძველი თბილისი რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში. თბილისში- შენობა-ნაგებობების აზომვითი და საპროექტო სამუშაოები. ლიტერატურის მუზეუმის, ბოტანიკურის ქ. №30; თბილისის მეჩეთი ბოტანიკურის ქ. №32, გომის ქ. №7, №9; გომის ჩიხი №2, №4, №12-ში აღმაშენებელია გამზ. №77, №82 №172, №174; ჯორბენაძის ქ. №18, №20, №9ა; ასევე შენობა-ნაგებობების აზომვითი სამუშაოები ბეთლემის ქ. №4; №6; №15; №17; №18. თელავი – შენობა-ნაგებობების აზომვითი და საპროექტო სამუშაოები: „ბატონის წყარო“, ერეკლე II-ს მოედანი №11; გ. სააკაძის ქ. №5. ქ. მესტია - ცენტრალურ მოედანზე განთავსებული შენობა-ნაგებობების აზომვითი სამუშაოები.

2012

ქართულ კავკასიური კულტურის, ისტორიისა და ეთნოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი, შ.პ.ს. „3DScanStudio“. დავით გაერჯის ლავრა, სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარი, ყვარლის მუნიციპალიტეტი, “დოლოჭოპის” მიდამოებში მდებარე სამნავიანი ბაზილიკა (არქეოლოგიური ძეგლი). 3D ლაზერული სკანერი „Leica HDS“-ით, ციფრული დოკუმენტაცია და არქიტექტურული - არქეოლოგიური ანაზომების შესრულება (dwg ფორმატში).

ავტობიოგრაფიის ფორმა (CV)

**რევაზ შაშვიაშვილი**

26. 04. 1983

მისამართი: ქ.თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №5; ქ.თბილისი, ც.დადიანის ქ. №303, II სადარბაზო, ბ. № 29.

ტელ.: (+99532) 352115; (+99593) 465222; (+99595) 903371; (+99532) 694056.

E-mail: [rezoshashviashvili@yahoo.com](mailto:rezoshashviashvili@yahoo.com)

განათლება: 2002-2007 თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია  
სპეციალობა—არქიტექტორ-რესტავრატორი.

**მუშაობის გამოცდილება:**

2008 - ქ.ბათუმი, აბაშიძის ქ. №58: აზომვითი და საპროექტო სამუშაოები.

2008 - ქ. თბილისი, ლ. გუდიაშვილის ქ. № 5, საჯარო ბიბლიოთეკის I კორპ.: აზომვითი სამუშაოები.

2008 - ქ. ქუთაისი, სახელმწიფო მუზეუმი: აზომვითი სამუშაოები.

2007 - დმანისის რაიონი, “აბულბუქის ეკლესია”: აზომვითი სამუშაოები.

2008 - მუცო, აზომვითი სამუშაოები, კამერალური დამუშავება,

2007-2008 - ქ. თბილისის მერია, “ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი” (არქიტექტორ-რესტავრატორი).

რუსთაველის პროსპ., გუდიაშვილის ქუჩა, გუდიაშვილის მოედანი.

2006 - დავითგარეჯის უდაბნო, იოანე ნათლისმცემლის მონასტერი: აზომვითი სამუშაოები.

2006 - ზედაზნის ციხე და იოანე ნათლისმცემლის მონასტერი: აზომვითი სამუშაოები.

2006 - სამცხე, მდ. ურაველას ხეობა: არქიტექტურულ ძეგლთა სააღრიცხვო ბარათების შედგენა.

2005 – სოფ. ნინბისი, მთავარანგელოზების ეკლესია: აზომვითი სამუშაოები.

2005 – სოფ. კავთისხევი, ლომისას წმ. გიორგის ეკლესია: აზომვითი სამუშაოები.

**კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:**

MS Word; Windows; Photoshop; Autocad.

ენები: ქართული, რუსული, ინგლისური, იტალიური.



შატლის კომპლექსის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოთა გეგმა-გრაფიკი  
(I ეტაპი)

სამუშაოთა დასახელება		40 დღე											
1	განმარტებითი ბარათი	■	■	■	■	■							
2	საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა – მ.1:1000	■	■										
3	ტოპოგრაფიული გეგმა – მ. 1:200		■	■	■	■	■	■	■	■	■	■	
4	ფოტოფიქსაცია: ხედები, ფასადები, ინტერიერი, დეტალები.		■	■	■	■	■	■	■	■	■	■	
5	არსებული არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომის დაზუსტება რეალური მდგომარეობის ასახვითა და ელექტრონულ ფორმატში გადაყვანით (მასშტაბში გამოხაზული კორექტირებული ანაზომი, მ. 1:50; დეტალები: მ. 1:25, 1:20, 1:10		■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■
6	კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემები და ტექსტური აღწერილობა;		■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■
7	შენობა-ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები;		■	■	■	■	■	■	■	■	■	■	
8	საინჟინრ-გეოლოგიური კვლევა, ტექნ. ანგარიში, დასკვნები, რეკომენდაციები.		■	■	■	■	■	■	■	■	■	■	
9	რეკომენდაციები სამუშაოებისას გამოსაყენებელი მასალის ძეგლზე არსებულ მასალასთან თავსებადობის შესახებ;		■	■	■	■	■	■	■	■	■	■	
10	არსებული შიდა და გარე საინჟინრო კომუნიკაციების მდგომარეობის შეფასება;		■	■	■	■	■	■	■	■	■	■	
11	სახელოვნებათმცოდნეო კვლევა ჩასატარებელ სამუშაოთა დასაბუთებით.	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	■	
12	საპროექტო გადაწყვეტის ესკიზური ვარიანტი.										■	■	■

კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის კავშირი "ამქარი"  
ხელმძღვანელი იოსებ ბანძელაძე



შატლის კომპლექსის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოთა გეგმა-გრაფიკი  
(II ეტაპი)

№	სამუშაოთა დასახელება	20 დღე					
1	არქიტექტურული ნაწილი: განმარტებითი ბარათი (პრობლემების გადაჭრის გზები და მეთოდოლოგიის დასახულება); გენერალური გეგმა _ მ. 1:200; სამუშაო ნახაზები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50), შაბლონები, ფრაგმენტები, დეტალები 1:50, 1:25, 1:20, 1:1), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი);						
2	კონსტრუქციული ნაწილი: განმარტებითი ბარათი, სამუშაო ნახაზები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50, 1:25), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი);						
3	შიდა საინჟინრო კომუნიკაციის - ელ.გაყვანილობის პროექტი;						
4	ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების პროექტი ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:200,						
5	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი სამუშაოს ჩატარების კალენდარული გრაფიკით;						
6	ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა.						

კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის კავშირი "ამქარი"  
ხელმძღვანელი იოსებ ბანძელაძე



## შატლის კომპლექსი

რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა

12 სექტემბერი 2013 წელი

#	შესასრულებელი სამუშაო	ღირებულება ლარებში
	სრეაბილიტაციის პროექტის შედგენა	
1	განმარტებითი ბარათი	400.00
2	საპროექტო ობიექტის სიტუაციური გეგმა	70.00
3	ტოპოგრაფიული გეგმა;	700.00
4	ფოტოფიქსაცია: ხედები, ფასადები, ინტერიერი, დეტალები.	400.00
5	არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომის დაზუსტება ელექტრონულ ფორმატში გადაყვანით	9800.00
6	კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემები და ტექსტური აღწერილობა;	1500.00
7	ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები;	500.00
8	საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, დასკვნები და რეკომენდაციები	600.00
9	რეკომენდაციები მასალების თავსებადობის შესახებ;	500.00
10	შიდა და გარე საინჟინრო კომუნიკაციების მდგომარეობის შეფასება;	500.00
11	სახელოვნებათმცოდნეო კვლევა ჩასატარებელ სამუშაოთა დასაბუთებით.	1000.00
12	საპროექტო გადაწყვეტის ესკიზური ვარიანტი.	1500.00
13	პროექტის არქიტექტურული ნაწილი:	5000.00
14	პროექტის კონსტრუქციული ნაწილი:	1500.00
15	ელ.გაყვანილობის პროექტი;	350.00
16	ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების პროექტი	390.00
17	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი	400.00
18	ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა.	400.00
19		
	ჯამი	25510.00
	ზედნაღები 12%	3061.20
	მოგება 5%	1428.56
	ჯამი	<b>29999.76</b>

კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის კავშირი "ამქარი"  
ხელმძღვანელი იოსებ ბანძელაძე



## შატლის კომპლექსი

რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა

1 ეტაპი

#	შესასრულებელი სამუშაო	ღირებულება ლარებში
	რეაბილიტაციის პროექტის შედგენა	
1	განმარტებითი ბარათი	400.00
2	საპროექტო ობიექტების სიტუაციური გეგმა	70.00
3	ტოპოგრაფიული გეგმა;	700.00
4	ფოტოფიქსაცია: ხედები, ფასადები, ინტერიერი, დეტალები.	400.00
5	არქეოლოგიური ანაზომის დაზუსტება ელექტრონულ ფორმატში გადაყვანით	9800.00
6	კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემები და ტექსტური აღწერილობა;	1500.00
7	შენობა-ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები;	500.00
8	საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, ტექნიკური ანგარიშის, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;	600.00
9	რეკომენდაციები სამუშაოებისას გამოსაყენებელი მასალის ძეგლზე არსებულ მასალასთან თავსებადობის შესახებ;	500.00
10	არსებული შიდა და გარე საინჟინრო კომუნიკაციების მდგომარეობის შეფასება;	500.00
11	სახელოვნებათმცოდნეო კვლევა ჩასატარებელ სამუშაოთა დასაბუთებით.	1000.00
12	საპროექტო გადაწყვეტის ესკიზური ვარიანტი.	1500.00
	ჯამი	17470.00
	ზედნაღები 12%	2096.40
	მოგება 5%	978.32
	ჯამი	<b>20544.72</b>

კულტურულ მემკვიდრეობათა კავშირი "ამქარი"  
ხელმძღვანელი იოსებ ბანძელაზე




შატლის კომპლექსი

რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა

2 ეტაპი

#	შესასრულებელი სამუშაო	ღირებულება ლარებში
	რეაბილიტაციის პროექტის შედგენა	
1	არქიტექტურული ნაწილი:	5000.00
2	კონსტრუქციული ნაწილი;	1500.00
3	შიდა საინჟინრო კომუნიკაციის - ელ.გაყვანილობის პროექტი;	350.00
4	ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების პროექტი	390.00
5	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი და კალენდარული გრაფიკი	400.00
6	ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა.	400.00
	ჯამი	8040.00
	ზედნადები 12%	964.80
	მოგება 5%	450.24
	ჯამი	<b>9455.04</b>

კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის კავშირი "ამქარი"  
ხელმძღვანელი იოსებ ზანძელაძე



## შატილის კომპლექსი



წინასაპროექტო საკონკურსო წინადადება

კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის კავშირი "ამქარი"

ხელმძღვანელი იოსებ ბანძელაძე

თბილისი 2013







შატლი. ხედი სამხრეთიდან

ალბომის შემადგენლობა:

1. არქიტექტორ-რესტავრატორის რეკომენდაცია; -----	3
2. ხელოვნებათმცოდნის რეკომენდაცია;-----	10
3. კონსტრუქტორის რეკომენდაცია;-----	12
4. საპროექტო სამუშაოების კალენდარული გრაფიკი;-----	14
5. სიტუაციური გეგმა;-----	16
6. ნახაზები:	
ა. კომპლექსის გეგმა;-----	17
ბ. კომპლექსის გეგმა (ბანებზე);-----	18
გ. ციხე-სახლი 32;-----	19
დ. ციხე-სახლი 32;-----	20
ე. ციხე-სახლი 33;-----	21
ვ. ციხე-სახლი 48;-----	22
ზ. 49, 50, 51, 52;-----	23
თ. 51, 52.-----	24
7. ძეგლის მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა:	
ა. საერთო ხედი სამხრეთიდან;-----	25
ბ. დაზიანებები;-----	26
გ. ჩაქცეული გადახურვები.-----	27



არქიტექტორ-რესტავრატორის რეკომენდაცია

შატილი

ზოგადი მიმოხილვა

შატილის არქიტექტურული კომპლექსი პირიქითა ხევსურეთის ოთხ ანალოგიურ კომპლექსთან ერთად (კისტანი, ხახაზო, არდოტი, მუცო) ქართული ხალხური არქიტექტურისა და ყოფის თვითმყოფად, უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს, რომელმაც რეგიონის სხვა კომპლექსებთან შედარებით უკეთ შეინარჩუნა სახე.

კომპლექსის მნიშვნელობას და თვითმყოფადობას განაპირობებს ერთის მხრივ აქ მცხოვრები მოსახლეობის საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ცხოვრების წესი და ის მკაცრი კლიმატურ-გეოგრაფიული გარემო, რომელიც მას განასხვავებს ქვეყნის დანარჩენი ნაწილისგან და მეორეს მხრივ, საერთო ზოგადკავკასიური (ვაინახურ-ფხოვური) ისტორიული წარსული. რის გამოც მეტად საგრძნობია ჯერ კიდევ შემორჩენილი საერთო ეთნო-კულტურული და საყოფაცხოვრებო ტრადიციები, რაც ყველაზე ნათლად არქიტექტურაში აისახა.

შატილის კომპლექსის დაარსების დრო უცნობია. მიმდებარე ტერიტორიებზე აღმოჩენილია სხვადასხვა დროის არტეფაქტები. მათ შორის აღსანიშნავია სამხევეანაის გორის არქეოლოგიური ექსპონატები, რომელებიც ე.წ. „მტკვარ-არაქსის კულტურის“ ნიმუშებს წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, შატილის დაარსების თარიღი შორ წარსულშია საძებნი, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ მისი დღევანდელი სახე შუა საუკუნეებს არ სცდება, რადგანაც გავლილი საუკუნეების მანძილზე განცდილმა კატაკლიზმებმა, ნგრევებმა, გადაკეთებებმა და ახალმშენებლობებმა, ძველი არქიტექტურა მთლიანად გადაფარა და შატილი, როგორც ყოფითი არქიტექტურის ნიმუში, ისეთი სახით მოიტანა ჩვენამდე.

საბოლოო ნგრევა შატილის კომპლექსმა 1813 წელს განიცადა, როდესაც ე.წ. ალექსანდრე ბატონიშვილის აჯანყების დროს, სანიმუშოდ შეიარაღებულ რუსულ ჯართან შეტაკებისას ბრძოლის არენად იქცა. ამ ბრძოლისას ზარბაზნების რამოდენიმე დღიანი ცეცხლის შედეგად ბევრი მნიშვნელოვანი ნაგებობა განადგურდა. მას შემდეგ შატილის კომპლექსს მნიშვნელოვანი გარეგნული კორექტივები აღარ განუცდია თუ არ ჩავთვლით მცირე ცვლილებებს. თუმცა მან საკმაო ზიანი და დანაკლისი განიცადა 1950-იანი წლების ხევსურთა გადასახლების შედეგად, როდესაც გაუკაცრიელებული სოფელი შამზნარმა და ნანგრევებმა მოიცვა.

შატილის არქიტექტურული კომპლექსის დაცვაზე ზრუნვა გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო, როდესაც ის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად გამოცხადდა და სარესტავრაციო ობიექტების ნუსხაში იქნა შეტანილი. იმ დროს მოხდა გადახურვების, წყალგადამყვანი სისტემის,



კედლების, აივნების და ტერასების რესტავრაცია ასევე ინტერიერის მზიდი კონსტრუქციების (ხის კოჭები, კოლონები) რეკონსტრუქცია. ამავე დროს ადატაცია ჩატარდა 4 კომპს (#4,#5,#6,#7), რომლებიც საგანგებოდ ამ მიზნით გაყვანილ წყალ კანალისა და ელექტრო სისტემებზე იქნენ მიერთებული. სამუშაოების ეს ეტაპი 80-ანი წლების ბოლოს დასრულდა.

რეაბილიტაციის მეორე ეტაპი მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით 1998 წელს განახლდა. გამოიცვალა ან გადაკეთდა უხარისხოდ შესრულებული გადახურვებისა და წყალგადამყვანი სისტემების თითქმის 90%, გადაეწყო და აღდგა რიგი დაზიანებული კედლებისა, გამორეცხილ საძირკვლებზე მოეწყო რკინაბეტონის ფუნდამენტები, აღდგა აივნების , ტერასების, კიბეების, კარ ფანჯრების ნაწილი. ადატაცია ჩატარდა 8 კომპზე. განახლდა წყალგაყვანილობა და ელ. გაყვანილობა.

### **პრობლემები**

მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო დავალებაში მოცემული ობიექტები (კომპები ## 2,3,31.32.33,34,40,46,47,48,49,50,51,52) და მიმდებარე ტერასები , ბანები თუ აივან - გადასასვლელები საკმაო პრობლემებით არიან დაზუნძლული, გასათვალისწინებელია კიდევ რამოდენიმე მძაფრი ფაქტორი. კრიტიკულ ზღვარზეა მისული #6 და #20 კომპების მდგომარეობა : დაზიანებული სახურავები, საინჟინრო კომუნიკაციები და წყლის გადაყვანის სისტემა.

შატლის კომპლექსზე წარმოქმნილი პრობლემები პირობითად შეიძლება ორ ნაწილად დაჯგუფდეს :

1. პრობლემური საკითხები, რომლებიც ადრეც არსებობდნენ, მაგრამ თავის დროზე მათი გადაწყვეტა სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა.

2.ახალი პრობლემები, რომლებმაც ბოლო რეაბილიტაციის შემდგეგ იჩინა თავი.

*ძველი პრობლემები.* (პირველი პუნქტით გათვალისწინებული )

- კომპები-#2 და #3

ამ კომპების ნგრევა 90-ანი წლების დასაწყისში დაიწყო, რაც გამოწვეული იყო გამორეცხილი საძირკვლების ჯდენით, რასაც მოყვა კედლების დეფორმაცია. ეს მოგვიანებით ჩატარებულმა გეოლოგიურმა კვლევამაც დაადასტურა. იმ მოედნის ქვიშიანი გრუნტის ძირი, რაზეც ეს ორი ობიექტია აგებული, სახურავებიდან ჩამონადენი და დაზიანებული წყალსადენიდან გამოჟონილი წყლით იყო გაჟღენთილი.ამჟამად ორივე კომპი მთლიანადაა ამორტიზებულია, კედლები - დანგრეული და დეფორმირებული, ხოლო სახურავები - ჩაქცეული.

*მათ აღსადგენად ჩასატარებელია შემდეგი სამუშაოები*

- არსებული კედლების გადაწყობა,
- რკინა-ბეტონის ფილის მოწყობა ფუნდამენტში
- საარქივო მასალაზე დაყრდნობით კომპების რეკონსტრუქცია ტრადიციული მასალების გამოყენებით.



## კომპი #46

კომპი შედარებით მცირე მოცულობისაა, მაგრამ კომპლექსის ერთიანი მხატვრული სახის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. ის დამრეც, კლდოვან ფუძეზე დგას, რაც, სარინელებისა და გადახურვის მოშლასთან ერთად მისი დანგრევის ძირითად მიზეზად იქცა,

*მისი აღდგენისათვის საჭიროა;*

- კლდეში ჩაანკერებული რკინაბეტონის ფუნდამენტის მომზადება ;

-კედლების აღდგენა კარიერში მოპოვებული ფიქალის ქვით;

-გადახურვა;

-სარინელის მოწყობა;

- სარინელები და ქვაფენილები

კომპლექსში არსებობს რამოდენიმე კომპი (კომპები 1,1ა, 2,3,4,5,6,7,8,9), მათ შორის საპროექტო დავალების ზონაში მყოფი #2 და #3 კომპებიც, რომლებიც კლდოვან ფუნდამენტზე არაა აგებული და მათი დასავლეთი კედლები, საიდანაც მათ მოუკირწყლავი შარა ჩამოუდის „პერმანენტულ ჯდენას განიცდი“ სახურავებიდან გადმონადენი წყალი გრუნტში ჩაიჟონება და ფუნდამენტს აზიანებს. მაგალითად: ბოლო რეზილიტაციის დროს ამ მიზეზით გადაეწყო #7 კომპისა და იქვე მდებარე სალუდის კედლები და მოეწყო გამლიერებული რკინაბეტონის ფუნდამენტები, ხოლო #2 და #3 კომპები რომლებმაც ამავე მიზეზით ყველაზე მეტი ზიანი განიცადეს,

სიძვირის გამო იმ ეტაპზე სარეაბილიტაციო ნუსხიდან იქნა ამოღებული. ახალი მონაცემებით უკვე იგივე პრობლემებია შექმნილი #6 კომპზეც. ერთ-ერთი მიზეზი კი 30 მეტრიანი მოუკირწყლავი შარა და სარინელების არ არსებობაა კედლის ძირებზე. სარინელების მოწყობას მოითხოვს სხვა კომპებიც, რომლებიც კლდოვან ქანებზეა აგებული მაგრამ დამრეცი პროფილი აქვთ.

**-ყორეები და ჭიშკრები**

შატლი, მათ შორის საპროექტო ნაწილი, ყორეებითა და გალავნის ნარჩენებითაა შემოსაზღვრული. რომ ეს ყორეები კომპლექსის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს და პირუტყვისა და ტურისტების ქაოსური ნაკადების გადაადგილებისგან იცავს. ამჟამად ყორეები ძლიერ დაზიანებულია და აღდგენა-გამაგრებას საჭიროებს. აღსადგენია ასევე ჭიშკრები.

**ახალი პრობლემები**

## კომპი #31

მცირე მოცულობის კომპი ორსართულიანია. ნაგებობა ადაპტირებულია 2000 წელს., თუმცა წყალი და კანალიზაცია არ არის გაყვანილი.

*ჩასატარებელი სამუშაოები:*

-გადახურვის კორექცია;

-სარინელებისა და წყალგადამყვანი სისტემის მოწყობა;

-ელექტროგაყვანილობა



კომპი # 32

კომპი 4 სართულიანია, მაგრამ ადაპტაციის შემდეგ გადაკეთებულია 3 სართულიანად. ადაპტირებულია 1999 წელს. არა აქვს მიერთებული წყალი და კანალიზაცია.

*ჩასატარებელი სამუშაოები:*

- გადახურვის კორექცია;
- ინექცია კედლებში;
- სარინელებისა და წყალგადამყვანი სისტემის მოწყობა;
- ხის კოჭების (2 კოჭი) და კოლონების გამოცვლა
- ელექტროგაყვანილობა;

კომპი #33

კომპი 4 სართულიანია. რეზილიტირებულია. გადახურულია თიხამოყრილი რკინა-ბეტონის ფილით. ინტერიერში მხოლოდ ხის კოჭებია აღდგენილი.

*ჩასატარებელი სამუშაოები:*

- გადახურვის კორექცია;
- სართულშუა გადახურვები;
- სარინელებისა და წყალგადამყვანი სისტემის მოწყობა;
- დეფორმირებული აღმოსავლეთის კედლის გამაგრება;
- კედლების გასამაგრებელი ინექცია.

კომპი# 34

კომპი რეზილიტირებულია. გადახურულია თიხამოყრილი რკინაბეტონის ფილით. ინტერიერში ხის კოჭებია აღდგენილი.

*ჩასატარებელი სამუშაოები:*

- გადახურვის კორექცია;
- სართულშუა გადახურვები;
- სარინელებისა და წყალგადამყვანი სისტემის მოწყობა;

კომპი #40

ეს კომპი დიდი ხნის ნანგრევად ითვლება და აღდგენას არ ექვემდებარება.

*ჩასატარებელია მხოლოდ საკონსერვაციო სამუშაოები და სარინელების მოწყობა.*

კომპი #47

კომპი რეზილიტირებულია.

*მოსაწყობია- სარინელები და წყალგადამყვანი სისტემა*

კომპი #48

კომპი სამსართულიანია, ადაპტირებულია, მაგრამ წყალი და კანალიზაცია არა აქვს მიერთებული.

*ჩასატარებელი სამუშაოები:*

- გადახურვის კორექცია;



-წყალგადამყვანი სისტემის და სარინელების მოწყობა;

-ელექტროგაყვანილობისა და განათების მოწყობა;

#### კომპი #49

კომპი ოთხსართულიანია რეაბილიტირებულია. გადახურულია თიხამოყრილი რკინაბეტონის ფილით. ინტერიერში მოწყობილია ხის კოჭები აღდგენილია აივანი, გამაგრებულია კედლები.

*ჩასატარებელი სამუშაოები:*

-კომპის და აივნის დაზიანებული გადახურვების კორექცია ;

-აივნი ხის კონსტრუქციების შეცვლა;

-სართულშუა გადახურვის აღდგენა

-სარინელები და წყალგადამყვანი სისტემის მოწყობა;

#### კომპი #50

ეს 1813 წელს დანგრეული საბრძოლო კომპია, რომელიც აღდგენას აღარ ექვემდებარება.

*ჩასატარებელი სამუშაოები:*

-კედლის გასამაგრებელი ინექციები;

-საკონსერვაციო სამუშაოები.

-სარინელები

#### კომპი #51

ამ ობიექტზე მხოლოდ კედლებია შემორჩენილი. რომელთაგან სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლები ამორტიზებული, გადასაწყობი და გასამაგრებელია.

*ჩასატარებელი სამუშაოები:*

-კედლების გადაწყობა;

-ახალი სახურავის მოწყობა;

-სართულშუა გადახურვები;

-სარინელები;

#### კომპი #52

კომპი რეაბილიტირებულია. 1999-2000 წლებში მოხდა მისი დაზიანებული კედლების აღდგენა , სახურავის, აივნისა და ინტერიერში ხის კოჭების აღდგენა.


*ჩასატარებელი სამუშაოები:*

-კომპისა და აივნის გადახურვების კორექცია;

-სართულშუა გადახურვები;

-აივნის დაზიანებული ხის კონსტრუქციების აღდგენა;

-სარინელები და წყალგადამყვანი სისტემა.



## ტერასებისა და გადასასვლელების გადახურვები

ახლანდელი გადახურვები მოწყობილია 1999-2000 წლებში. მისი კონსტრუქციული სქემა ასეთია. მრგვალი ხის ფენილზე დაგებულ ჰიდროიზოლაციაზე დასხმულია რკინაბეტონის ფილა, შემდეგ ისევ ჰიდროიზოლაციის ფენა და ბოლოს თიხატკეპნილი.

განვლილი 12 წლის განმავლობაში მოხდა თიხატკეპნილების გადარეცხვა, რამაც თავის მრივ გამოიწვია ჰიდროიზოლაციის ფენის ნაწილობრივი დაზიანება და წყლის გატარება, მათი დაზიანების ხარისხი გადასასვლელებსა და ტერასებზე უფრო საგრძნობია, რადგანაც აქ ტურისტების ფაქტორიც დამატებით დატვირთვას ქმნის.

### ჩასატარებელი სამუშაოები:

- გამოსაცვლელია დაზიანებული ჰიდროიზოლაციის 50 %;
- გასაახლებელია თხატკეპნილის 80% ;
- გამოსაცვლელია რამოდენიმე ხის კოჭი და ხარიხე ტერასებსა და გადასასვლელებზე.

### -ინექციები

კოშკების გარკვეული ნაწილის კედლები (მაგ. კოშკები #33, #50) იმდენადაა გამოქარული, რომ აუცილებელია შემავსებელი გამამაგრებელი ინექციების გამოყენება. პროექტირებისას უნდა მოხდეს მათი ზუსტი მოცულობის დადგენა და ცალკეულ კოშკზე საინექციო პროცესის მეთოდის განსაზღვრა.

## -კომუნიკაციები

საპროექტო დავალებით გათვალისწინებულ ნაწილში ყველაზე პრობლემატური ელექტრო გაყვანილობა და მისი სათანადოდ მოწყობაა.

### აქ ჩასატარებელი სამუშაოებია:

- ცენტრალური მიწისქვეშა სადენის გაყვანა
- გარე განათების მოწყობა;
- შიდა გაყვანილობები და განათება 31,32, 48 კოშკებზე ;

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს 150 მეტრი სიგრძის წყალგაყვანილობის სისტემა, რომელიც, საპროექტო დავალების ზონაში არ შედის მაგრამ კრიტიკულ მდგომარეობაშია და დაზიანების შემთხვევაში მთელ კომპლექსს ემუქრება.

გაყვანილობა რკინის მილებითაა მთლიანად დაკომპლექტებული. რამოდენიმე ადგილზე წყალი ჟონავს და კოშკების ფუნდამენტებს აზიანებს.

### აქ ჩასატარებელი სამუშაოებია:

- 150 მ. სიგრძის 1 დიუმიანი გაყვანილობა 6 ერთეული 1/2 დიუმიანი განშტოებით;
- წყალგადამყვანი სისტემა

ცალკეული კოშკის სახურავებზე, ტერასებსა და გადასასვლელებზე დაზიანებული ან მორყეული ფილის ქვის წყალგადამყვანი კარნიზები იგივე სანაპიროები,



თიხატკეპნილები, ჰიდროიზოლაციის ფენილები. ასევე კომპიუტერული დიდი ნაწილის კედლის ძირებზე მოშლილია ძველი მოკირწყლული სარინელების სისტემა. ამ მიზეზების გამო დიდი ზიანი ადგება კედლების მდგრადობას.

*ჩასატარებელი სამუშაოები:*

-გადახურვის წყალგადამყვანი სისტემის აღდგენა, სანაპიროების გადაწყობა ან აღდგენა;

-სარინელების მოწყობა;

-დრენაჟების მოწყობა

დამატებითი პრობლემატური ობიექტები:

-კომპი #6

ეს კომპი ადაპტირებულია კომპლექსის რეაბილიტაციის პირველ ეტაპზე (1970-80წწ.). მის დასავლეთ კედელს მოუკირწყლავი შარა და დაზიანებული წყალგაყვანილობის ხაზი ესაზღვრება, რაც ხელს უწყობს საძირკვლისქვეშა ქანების გამორეცხვას. 6-7 წელია დასავლეთის კედლის საძირკველმა ჯდენა დაიწყო. ამჟამად დასავლეთის კედელი და სამხრეთ-დასავლეთის კუთხე კრიტიკულ დონემდეა დეფორმირებული.

*ჩასატარებელი სამუშაოები:*

- სახურავის და სართულშუა გადახურვის დამჭერი კონსტრუქციების მოწყობა;

-დასავლეთის კედლის დაშლა გადაწყობა;

-რკინაბეტონის ფუნდამენტის მოწყობა;

-კომუნიკაციებს გამოცვლა;

-წყალგადამყვანი სანაპიროების გადაწყობა;

-დასავლეთის კედელზე მიდგმული სანკვანძის რემონტი;

-ინტერიერის მოკირწყვლა.

-კომპი #20

ამ კომპს ჩრდილო აღმოსავლეთი კუთხე აქვს მომსკდარი, რომელიც წლითი - წლობით იზრდება. ბოლო ორი წელია აღმოსავლეთის კედელიც გაიზარა და დაზიანება უკვე კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება. პრობლემის აღმოსაფხვრელად კუთხის ამოშენება იმდენ პრობლემას არ წარმოადგენს, რამდენსაც კუთხესთან მიდგომა, რადგანაც კომპი ფრიალო კლდეზეა აშენებული და ხარაჩოების მოწყობას ართულებს.

*ჩასატარებელი სამუშაოები:*

-ქვის გრუნტში ანკერების მოწყობა ;

-ჩაანკერებული ხარაჩოების მოწყობა;

-რკინაბეტონის ჩაანკერებული საყრდენის მოზადება;

-კუთხის კედლის გამოშენება;

-კირდუღაბის ინექციები აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლებში.

არქიტექტორ-რესტავრატორი ვ. კინჭარაული ვ.





1970-1980 - იან წლებში ჩატარებულმა სამუშაოებმა გადაარჩინა ძეგლი დაღუპვას, მაგრამ იმდროინდელმა ჩარევებმა (რაც ძირითადად იმ დროისთვის საყოველთაოდ მიღებული, ტრადიციულთან არათავსებადი სამშენებლო მასალების გამოყენების გამო წარმოიქმნა) გარკვეული სირთულეები შეუქმნა ძეგლს. დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადახურვის საკითხის მოგვარება, რომელიც სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს. ერთი შეხედვით, აქ თითქოს საკითხავიც არაფერია, თანამედროვე ძეგლთადაცვითი პრაქტიკის გათვალისწინებით ტრადიციული საცხოვრებელი ტრადიციულივე მასალით და წესით უნდა აღდგეს, მაგრამ სანამ შატილს არ გამოუჩნდება მუდმივი მომვლელი, მისი გადახურვის ტრადიციული ხერხებით აღდგენა ძალიან სწრაფად წარმოქმნის კიდევ უფრო დიდ პრობლემებს.

შატილის შესანარჩუნებლად, ვფიქრობთ, აუცილებელია ძეგლის რესტავრაციის წარსული გამოცდილების გაანალიზება და გადაუდებელი სამუშაოების ჩატარება, რაც პირველ რიგში კომპლექსის

შემადგენელი სათავსების გადახურვის პრობლემის მოგვარება წარმოადგენს. უნდა გამოიძებნოს ისეთი გზა, რომელიც არ დააზიანებს ორიგინალს და საჭიროების შემთხვევაში ადვილად იქნება შესაძლებელი კომპლექსის ცალკეული ნაგებობების შეკეთება და წყობიდან გამოსული დეტალების შეცვლა. მომავალში, ალბათ, უნდა დამუშავდეს ძეგლის აღდგენის, მართვის და მოვლა-პატრონობის გრძელვადიანი პროექტი, რაშიც სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად, ადგილობრივი თემის სტატუსით უნდა ჩაერთოს მესაკუთრეები, შატილის მკვიდრი მოსახლეობის შთამომავლები.

ხელოვნებათმცოდნე - ციციხო ჩაჩხუნაშვილი

15.09.2013



ინჟინერ-კონსტრუქტორის რეკომენდაცია

დასკვნა

შატილის კომპლექსის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

შუა საუკუნეების არქიტექტურული კომპლექსი - შატილი მდებარეობს პირიქითა ხევსურეთში, არღუნის ხეობაში. კომპლექსი ცივაბო ფერდზე, რთულ რელიეფზეა განლაგებული. რამდენიმე მათგანი ერთმანეთზეა მიდგმული და აქვთ საზიარო კედელი. სამირკვლები, კლასიკური გაგებით, არ გააჩნიათ. კედლები აგებულია ფიქალის მშრალი წყობით, დუღაბის გარეშე. სართულშუა გადახურვები და ბრტყელი სახურავი შესრულებულია ხის კოჭებით. კომპლექსის ნაწილი კლდოვან ფუძეზეა დაფუძნებული, ნაწილი არაკლდოვან გრუნტზე. ამჟამად არსებული გადახურვები მოწყობილია 1999-2000 წლებში. მისი კონსტრუქციული სქემა ასეთია: მრგვალი ხის ფენილზე დაგებულ ჰიდროიზოლაციაზე დასხმულია რკინაბეტონის ფილა, შემდეგ ისევ ჰიდროიზოლაციის ფენა და ბოლოს თიხატკეპნილი.

საპროექტო დავალებაში მოცემული ობიექტები (კომპლექსი ## 2, 3, 31, 32, 33, 34, 40, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52) და მიმდებარე ტერასები, ბანები თუ აივან - გადასასვლელები საკმაოდ დაზიანებულია, ზოგიერთი მათგანი კი (#2, #3) ფაქტიურად დანგრეულია. მზიდ

კედლებში შეინიშნება გამჭოლი ბზარები, ზოგიერთ კომპლექსს მორღვეული აქვს კუთხე ფუძის სიახლოვეს. საკმაოდ დაზიანებულია სახურავის ფენილი, საიდანაც ატმოსფერული ნალექები ჩაედინება შიდა სივრცეში და აზიანებს როგორც გადახურვის ხის კოჭებს, ასევე ასუსტებს ფუძის მზიდუნარი-ანობას. მზიდი კონსტრუქციების აღნიშნული დაზიანებების ძირითად გამომწვევ მიზეზად ფუძე-გრუნტის მზიდუნარიანობის შემცირება და საძირკვლის არათანაბარი ჯდენა შეიძლება მივიჩნიოთ. ვინაიდან შატილი სეისმურად აქტიურ ზონაში მდებარეობს, არ არის გამორიცხული დაზიანებათა ნაწილი მიწისძვრის მცირე ბიძგებითაც იყოს განპირობებული.

შატილის კომპლექსის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, მათი აღდგენა-გაძლიერება აუცილებელია.

მოსაზრებები შატილის კომპლექსის აღდგენა-გაძლიერების

ღონისძიებებზე

კონსტრუქციული თვალსაზრისით ფიქალის მშრალი წყობით ნაგები შენობების სეისმობრუნება და ზოგადად, მდგრადობა, დაბალია. ასეთი კონსტრუქციის ვერ ავლენს



სივრცითი მუშაო-ბის სათანადო უნარს. ამავე დროს ის მომეტებულად მგრძობიარეა ფუძის არათანაბარი ჯდენე-ბის მიმართ – არ ხდება ძაბვების გადანაწილება და მთელი კონსტრუქციის ჩართვა მუშაობაში. ვითარებას ართულებს ის გარემოება, რომ აუცილებელია კოშკების არქიტექტურული იერსახის უცვლელად შენარჩუნება და აქედან გამომდინარე, გამორიცხულია ისეთი კონსტრუქციული ღონისძიებების განხორციელება და მასალის (რკინაბეტონი, ლითონი) გამოყენება, რაც ნაგებობა-ბათა მდგრადობას კი მნიშვნელოვნად გაზრდის, მაგრამ შეუცვლის მათ პირვანდელ სახეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შატილის კოშკების აღდგენა-გაძლიერებისთვის აუცილებელი სამუშაოები ასე გვესახება:

1. უნდა გამოირიცხოს ფუძის დასველება როგორც ატმოსფერული ნალექებისგან, ასევე დაზიანებული კომუნიკაციებიდან. ამისთვის საჭიროა, რომ შეკეთდეს დაზიანებული სახურავები (ჰიდროიზოლაცია, თიხატკეპნილი, კარნიზები), გამოიცვალოს დაზიანებული მილები (შიდა და გარე), მოეწყოს სარინელები;

2. საძირკვლების გაძლიერება და მოცურების საწინააღმდეგო ღონისძიების განხორციელება. ამ მიზნით შესაძლოა საძირკვლის გასწვრივ მოეწყოს ფუძეში ჩაანკერებული არმატურის ღეროების ზოლი, რომლის თავი შეიკვრება რ/ზ კოჭით;

3. კედლებში არსებული ბზარების ინექცირება კირ-დულაბის ხსნარით;

4. ამორტიზებული კედლების დემონტაჟი და თავიდან აშენება;

5. ხის დაზიანებული კოჭების შეცვლა.

ნაგებობათა მდგრადობის გაზრდის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია კედლების დაზიანებულ უბნებში, აგრეთვე, თავიდან ასაშენებელ კედლებში ისეთი თანამედროვე მასალების გა-მოყენება (პოლიმერული წებოები, ბაზალტის არმატურის ღეროები), რომლებიც ვიზუალურად არ გამოჩნდება.

ინჟინერ-კონსტრუქტორი ალექსანდრე ლებანიძე

15. 09. 2013



## ხელოვნებათმცოდნის რეკომენდაცია

### შატილის რეაბილიტაციის საკითხისათვის

შატილი წარმოადგენს ისტორიული ლანდშაფტის, ტრადიციული სამშენებლო ხელოვნების და ჩვენამდე შემონახული ურნაბული დასახლების უნიკალურ ძეგლს. ორ მდინარეს შორის ამოზიდულ კონცხზე შეფენილი სასაზღვრო გამაგრებული დასახლება ერთ მთლიან ბლოკად შეკრულ, ერთმანეთზე მჭიდროდ მიდგმული ტრადიციული საცხოვრებლებისაგან შედგება, რომელიც წარსულში საიმედოდ იცავდა ქვეყანას ჩრდილოეთიდან.


არსებობს ვარაუდი, რომ გვიან შუა საუკუნეებში კავკასიის მთიანეთში ამგვარი ციხე-სოფლის ტიპი ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნეში იგი მხოლოდ სასაზღვრო ზოლში შემორჩა. აქ მოხდა სოციალური და ხუროთმოძღვრული ტრადიციების შენარჩუნება და სხვა მიმართულებით განვითარება.

ისტორიულად, შატილი სამეფო ხელისუფლებას ექვემდებარებოდა, მაგრამ ფაქტობრივად, მას ხევისბერები განაგებდნენ ადგილობრივი ადათების მიხედვით და თუ რაიმე საშიშროება დაემუქრებოდა მათ თავისუფლებას, ადგილობრივი თემი მუდამ მზად იყო საბრძოლველად. სასაზღვრო გამაგრებული დასახლებების ასეთი სახით შენარჩუნება ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლებისთვისაც მნიშვნელოვანი იყო, რადგან აქედან მას მუდმივად ჰქონდა საზღვრის დაცვის იმედი (ამ მხრივ საინტერესოა, რომ საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ შატილი კვლავ სასაზღვრო ზოლში მოექცა).

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი 1970-იანი წლებიდან დაიწყო აღდგენითი სამუშაოები შატილში, მაგრამ როგორც დღეს, ასევე იმ დროისთვისაც განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენდა მოსახლეობისაგან თითქმის დაცლილი დასახლების შენარჩუნება, რადგან ცნობილია, რომ ნებისმიერი საცხოვრებელი და განსაკუთრებით, ტრადიციული დასახლება მუდმივ მოვლა-პატრონობას მოითხოვს.




# პირიშობა ხევსურეთის რუკა




# შატილი



ბენგეზა



# შატილი



ბენბეზა















20 ANNA... 2000

(133)



9.40  
 7.98  
 7.00  
 6.06  
 4.65  
 4.46



#184



11-000000000 000000



80680885



*LM*







